დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს „ცხუმ–ეგრისში“ „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნიკა ჯიაძე

წევრები:

ქეთევან ღვანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ცხუმ-ეგრისი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

საიდენტიფიკაციო კოდი: 220377759

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
„აღმზრდელი“	10	10	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 7 აპრილის N392529 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ა) ნიკა ჯიაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე); ბ) ქეთევან ღვანიძე - დარგის ექსპერტი (წევრი). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით.

დაწესებულებაში, წინასწარ გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 აპრილს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები, გაანალიზა დაწესებულების განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, ჩაატარა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. ადგილზე გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებს.

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს პროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის (მიმართვიანობის), პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან გაცხადებული პროფესიონალი კადრების საჭიროება და მეორე მხრივ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელწიფოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, რომლის ერთ-ერთი მიზანია „მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სკოლის ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა. ახალი ნაკადის მისაღებად კოლეჯმა გაზარდა მატერიალური რესურსი (ფართი) კერძოდ, 2023 წლის 27 იანვარს მოხდა შეთანხმება იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ, რომლის საფუძველზე, იმავე მისამართზე (ქ.ზუგდიდი, კოსტავას ქ. №32) მოხდა მეორე 132,5 კვ.მ მეტრის დამატება, საერთო ჯამში საიჯარო ფართი გაიზარდა 313.8 კვ.მეტრიდან 446.3 კვ.მ მდე. გაიზარდა როგორც ადმინისტრაციული სივრცე ასევე დაემატა 3 აუდიტორია (2 A და 1 B გარემო).

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 10 პროფესიულ სტუდენტს (ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება N15) და ათივე პროფესიული სტუდენტი აქტიური სტატუსით სარგებლობს.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. (**დანართი 1**)

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიურების და დათვალიერებული მატერიალური რესურსის საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 10 სტუდენტიდან 40 სტუდენტამდე გაზრდა შესაძლებლად მიაჩნია.

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	შეესაბამება	შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	შეესაბამება	შეესაბამება

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა -

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.9. სასურველია ბიბლიოთეკას დაეთმოს უფრო ფართო სივრცე.

XI. სტანდარტების შეფასება

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.1.1 დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

ვიზიტი განახორციელდა შპს ცხუმ-ეგრისში (მის: ქ.ზუგდიდი, კოსტავას ქ. №32) დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც უძრავი ქონების მესაკუთრეებმა, ფიზიკური პირები ბ.ხ და შ.ხ, დროებით სარგებლობაში გადასცა შპს ცხუმ-ეგრისს 446.3 კვ.მ ფართი 2033 წლის 28 იანვრამდე.

შენობა №1 - დან მეორე სართულზე 313.8 კვ.მ და შენობა №2 დან მეორე სართულზე 132.5 კვ.მ

კეთილმოწყობილია შემდეგი სივრცეები:

- ფოიე;
- სამუშაო სივრცე ადმინისტრაციისათვის;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის/მასწავლებლებისათვის;
- ბიბლიოთეკა
- სველი წერტილები;
- სივრცე სტუდენტური აქტივობებისთვის;
- სივრცე პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- A, B და C გარემოები
- არქივი

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულება, შესაბამისად გამოყოფილი სივრცეებით. შენობაში განთავსებული სველი წერტილები, პანდუსები, ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აუცილებელი საოფისე ინვენტარი. ასევე, სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფები, პროექტორები.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

5.1.1.2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ (2023 წლის 3 იანვრის №01-01 ბრძანებით), სადაც გაწერილია კოლეჯის საქმიანობისათვის ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენების წესები, არსებული მატერიალური რესურსების სწორ განკარგვასა და მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირია- მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, რომელიც ზედამხედველობს კოლეჯის ბალანსზე არსებული ქონების დაცვას და უზრუნველყოფს მის რაციონალურ გამოყენებას. ვიზიტის დროს, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ აქვთ საშუალება საჭიროებისამებრ გამოიყენონ შესაბამისი მატერიალური რესურსი და საერთო სარგებლობის სივრცეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

5.1.1.3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 12 ნოემბრის №. 01-19 ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, სადაც გაწერილია სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები და პასუხისმგებელი პირები. ხელშეკრულება გაფორმებულია ორ პირთან (დამლაგებლები), მათ ფუნქცია მოვალეობით განსაზღვრული აქვთ არსებულ ფართზე სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც მოიცავს შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავებას, ქიმიური საშუალებების გამოყენებას მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად და ნარჩენების გატანას კოლეჯის შენობიდან.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

5.1.1.4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართი აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული მუშაობა დასტურდება კომუნალური ხარჯების საგადახდო დავალების ქვითრებით და პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

5.1.1.5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივლისის №. 01-11 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა აღნიშნული შემუშავებულია სამუშაო სივრცეში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის. რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად, შემუშავებულია სამუშაო სივრცეში არსებული რისკები. კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებით ყავს მოქმედი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატი (მოქმედია 2025 წლის 25 ოქტომბრამდე. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟების რეგისტრაციის ჟურნალები.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

5.1.1.6 დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 3 იანვრის №. 01-01 ბრძანებით დამტკიცებულ მატერიალური რესურსების განკარგვის წესი, სადაც გაწერილია საოფისე- სამეურნეო საქონლისა და სასწავლო მასალა- ნედლეულის შესყიდვა-გაცემის პროცედურები. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია; ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია. კოლეჯის საქმიანობის ადმინისტრირებისათვის/საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორი ან კოლეჯის ფინანსურ მენეჯერი მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსების მენეჯერთან და კოლეჯის დირექტორთან შეთანხმებით; კოლეჯის ადმინისტრაციული და სასწავლო საქმიანობისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის განხორციელებისათვის კოლეჯის დირექტორი იძლევა თანხმობას, რის შემდეგაც სია გადაეცემა მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერს და ფინანსურ მენეჯერს.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

5.1.1.7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ სადაც გაწერილია რესურსების შეფასების პროცედურები, პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული ითვალისწინებს მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის მუდმივ შეფასებასა და განვითარებას, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრუქტურირებული კითხვარი, რომლის საშუალებითაც ახდენს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვას. კვლევის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. წარმოდგენილია კვლევის ანგარიში (2021-2022 წწ) პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი. პროგრამის განმახორციელებელთა შეფასებით სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები, სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები (მაგ: ქაღალდი, მარკერი, საშლელი, ქიმიური ნივთიერებები და სხვა) საკონტაქტო საათის პერიოდში მთელი ჯგუფისთვის საკმარისია, ასევე ხელმისაწვდომია. გამოკითხულთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უმრავლესობისთვის არ ყოფილა ისეთი მასალა-ინვენტარი, რომელიც მითითებული იყო მოდულში და სწავლების დროს არ გამოუყენებიათ. პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა და აქტიურობა სასწავლო პროცესში შედარებით დაბალია თეორიულ მოდულებზე. კვლევამ აჩვენა, რომ სიღრმისეულად უნდა განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა, რომელიც დაადგენს პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროებებს პროფესიული განვითარების კუთხით და უზრუნველყოფს მათ საჭიროებებზე მორგებულ სატრენინგო პროგრამის შეთავაზებას. დაწესებულებამ წარმოადგინა საჭიროებების შესაბამისად პერსონალის გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა შეფასებით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

5.1.1.8. კოლეჯს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

შენობის აზომვითი ნახაზებით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ კოლეჯის შენობაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

5.1.1.9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებაში არსებულ სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებს, მათ შორის ბიბლიოთეკას აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლის/მუშაობის შესაბამის პირობებს. **თუმცა, სასურველია ბიბლიოთეკას დაეთმოს უფრო ფართო სივრცე.**

ექსპერტთა შეფასებით, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

5.1.1.10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზუალური დათვალიერების შედეგებიდან დგინდება რომ, დაწესებულებაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. სასწავლო გარემოები და სამუშაო სივრცეები გადანაწილებულია ისე, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას ხელი არ შეეშალოს.

ექსპერტთა შეფასებით, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

5.1.1.11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა რომელიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ კავშირით. განთავსებულია სამუშაო მაგიდები, ლეპტოპები და ასლგადამღები. საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად . სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ მუდმივად აქვთ წვდომა ბიბლიოთეკაში არსებულ რესურსებზე.

ექსპერტთა შეფასებით, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის წესი;
- სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- მიღება ჩაბარების აქტები
- პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.2.1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

დაწესებულებამ წარმოადგინა შპს ,,ზუგდიდ ექსპერტიზის" დასკვნა (09.10.2020) რომლითაც დასტურდება შენობა-ნაგებობის მდგრადობა, ასევე წარმოდგენილია შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შედგენილი სახანძრო დასკვნა - აქტი №.203 (2021 წლის 29 ნოემბერი) შესაბამისად, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

5.1.2.2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები:

კოლეჯს შემუშავებული აქვს „პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები", რომელიც გაწერილია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკაში, მუხლი. 10. გაფორმებულია ხელშეკრულება ექიმთან. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გადამოწმდა მისი პირადი საქმე, რის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვითაც ზემოაღნიშნულ პირს უდასტურდება საქიმო საქმიანობის ლიცენზია. ადგილზე დათვალიერდა პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

5.1.2.3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

2023 წლის 4 აპრილის კოლეჯის დირექტორის 01-06 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. რომელიც შეთანხმებულია შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (13.04.2022 MIA 5 22 00969741) გეგმაში გაწერილია საგანგებო სიტუაციაში შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობა და პასუხისმგებელი პირები. გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს, თანამშრომლების, სტუდენტების და მატერიალურ ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. კოლეჯში შექმნილია საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების შტაბი/ჯგუფი, რომლის წევრებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი. კოლეჯი უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა სტუდენტისათვის და თანამშრომლისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. კოლეჯის შენობაში გამოკრულია სათანადო სტანდარტების შესაბამისი საევაკუაციო გეგმები, კოლეჯი აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

5.1.2.4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კოლეჯი უზრუნველყოფს კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მეთვალყურეობას. კოლეჯის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს კოლეჯის ყველა დერეფნის, შესასვლელისა (ფოიე) და კიბის უჯრედის ვიდეო დაკვირვებას და იქ მყოფი პირების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. კოლეჯის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა (ჩაწერის სისტემით) უზრუნველყოფს კოლეჯის გარე პერიმეტრის სრულად დაკვირვებას და იქ მყოფი პირების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ვიდეო კონტროლის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია დაწესებულების მთელი ტერიტორიის თვალსაჩინო ადგილებზე.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების შემთხვევათა აღრიცხვის ჟურნალი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
- დასკვნა შენობა -ნაგებობის მდგრადობის შესახებ;
- შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრის შემოწმების/დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამებ

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.1.1. კოლეჯში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

კოლეჯი აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი. სასწავლო პროცესის სერვისში გათვალისწინებულია კოლეჯის პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების რეესტრი.

კოლეჯში ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი. კოლეჯი სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში, შეუსაბამობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიის ბაზის შეფასების მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დაცვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეუფერხებელი მიღწევისა და ადმინისტრაციის მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფა.

დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი 2022-2023 სასწავლო წლისათვის, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლისა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) და IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგებისა და შემდეგ მათზე რეაგირების შესახებ.

კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გზით.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

5.2.1.2. კოლეჯი ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

„მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ შესაბამისადაც, დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, რისთვისაც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ხორციელდება რისკების მართვა, რაც აერთიანებს კოლეჯის პასუხისმგებელი პირების გადაწყვეტილებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის სტრატეგიულ დაგეგმვაზე, მმართველობასა და ყოველდღიურ ოპერირებაზე. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა გულისხმობს: რისკების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებას იმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვით, თუ რა შედეგები მოყვება მათ კოლეჯის ფუნქციონირებასთან მიმართებაში და მათი ხდომილების ალბათობა, ამ რისკების დადგომის ალბათობას და მათ შესაძლო შედეგებს, მათ შესახებ ინფორმირებულობის არსებობას, რისკებთან მოპყრობის პრიორიტეტულობის დადგენას, რისკების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულ დაინტერესებულ პირების განსაზღვრას და მათი ინფორმირებულობას რისკების მართვის სტატუსის შესახებ, რისკებისა და რისკების მართვის პროცესის რეგულარულ მონიტორინგსა და განხილვას, რისკების მართვისადმი მიდგომის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ინფორმაციის შეგროვებას, თანამშრომლების ინფორმირებულობას რისკებისა და მათი შემცირების გზების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

5.2.1.3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის №01-12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“ რომლითაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

5.2.1.4. კოლეჯის აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. აღნიშნული თუმცა ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტაცია არ არის ფორმალიზებული (გამოკითხვის ანალიზი, ოქმი და ა.შ).

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5.2.1.5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

„მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. კოლეჯში ხელმისაწვდომია კაბელიანი და უკაბელო ინტერნეტი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელია IT მენეჯერი. კოლეჯმა წარმოადგინა ინტერნეტ პროვაიდერთან (შპს ახალი ქსელები) გაფორმებული ხელშეკრულება. პროფესიული სტუდენტების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.1.6. კოლეჯის უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით ან სატელეფონო ან პირისპირ კომუნიკაციით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დაწესებულება ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების ან სტუდენტის/მსმენელის რეგისტრაციის მომენტში ახორციელებს ინფორმირების ერთიანი საკომუნიკაციო ბაზების შევსებას, საჭიროების შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურეობას.

კოლეჯის უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი 2022-2023 სასწავლო წლისათვის;
3. ინტერნეტ-პროვაიდერთან (შპს ახალი ქსელები) გაფორმებული ხელშეკრულება;
4. კოლეჯის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და პასუხისმგებელ პირებთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.2.1. კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 თებერვლის №01-15 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომელიც არეგულირებს არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემას, დოკუმენტების მოძრაობას მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე ან საქმეში მოთავსებამდე, დოკუმენტების დაარქივებას და დოკუმენტების განადგურების პროცედურებს. კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა აზრით, კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

5.2.2.2. კოლეჯს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის (შემდგომში - სისტემა) საშუალებით, შესაბამისი პროგრამის -,,eflow"-ის მეშვეობით. ელექტრონული საქმისწარმოება გულისხმობს დოკუმენტის მიღებას, დამუშავებას, რეგისტრაციას, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას და შენახვას.

კოლეჯს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

5.2.2.3. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივლისის №01- ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომელიც გაწერილია კოლეჯის მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების პირობები. დირექტორის ბრძანებით რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ადმინისტრირებას და როგორც პროფესიულ სტუდენტთა შესახებ, ისე კოლეჯის საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაციის ასახვას evet.emis.ge სისტემაში. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია სრულად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა აზრით, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

5.2.2.4. კოლეჯი დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

„საქმისწარმოების წესი“, არეგულირებს დოკუმენტების და დავალებების შესრულების კონტროლისა და დოკუმენტის შესრულების ვადებს, მათ შორის განსაზღვრულია დოკუმენტის და დავალების შესრულების კონტროლის პროცედურებს, დოკუმენტის შესრულების ვადებს, დოკუმენტის შესრულების ვადების კონტროლის მექანიზმებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპონდენციები, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპონდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ექსპერტთა აზრით, . კოლეჯი დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „საქმისწარმოების წესი“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.3.1 კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: https://ckhum.edu.ge/

ვებგვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. კოლეჯის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებისას გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიღების ინტერესი; ვებგვერდის ნავიგაცია მარტივია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში.
ვებგვერდს, ისევე, როგორც დაწესებულების ფეისბუქ გვერდს, გააჩნია როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქცია.
კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები.

ექსპერტთა აზრით, **კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.**

5.2.3.2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
დაწესებულების მისიაა: კოლეჯი შპს ცხუმ-ეგრისი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მისიაა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება,მათი პიროვნული და პროფესიული განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობა, კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარებით თავისი წვლილის შეტანა ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში. მისიაში არ არის განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, ამდენად დაწესებულებას არ აქვს უცხოენოვანი ვებგვერდი.

ექსპერტთა აზრით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5.2.3.3. კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება.
კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 ივლისის №01-13 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

ექსპერტთა აზრით, კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.3.4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023“, სადაც მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა და ღირებულებები; ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. კატალოგში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია და ემსახურება დაინტერესებულ პირთათვის კოლეჯის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

ექსპერტთა აზრით, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5.2.3.5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც კოლეჯის მიერ წარმოდგენილია წინა წლების კატალოგები. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023.

ექსპერტთა აზრით, **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.**

5.2.3.6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის“ შესაბამისად, კოლეჯი თავისი საქმიანობის წარმოსაჩენად ახორციელებს შემდეგ აქტივობებს: ავრცელებს კოლეჯის სახელით ოფიციალურ მიმართვებსა და განცხადებებს, ხელს უწყობს პროფესიული განათლების/საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზებას, ხელს უწყობს კოლეჯის პროგრამის განმახორციელებელი პირების და პერსონალის პოპულარიზაციას, აორგანიზებს და აწყობს საზოგადოების წარმომადგენლების, ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრებს, აწარმოებს შიდასაორგანიზაციო კომუნიკაციას, გეგმავს და ახორციელებს კოლეჯში კულტურულ-შემოქმედებით, ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, მართავს კოლეჯის ვებ-გვერდსა და ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელში, სადაც მუდმივად აახლებს ინფორმაციას, აწყობს პრესკონფერენციებს/სემინარებს და სხვა ღონისძიებებს კოლეჯის საჭიროების შესაბამისად, საჭიროების შესაბამისად ამზადებს/ავრცელებს სარეკლამო მასალებს, ხელს უწყობს აპლიკანტების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/თანამშრომლების/-დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას, ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან, მოიძიებს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ კომპანიებს/ბაზებს და აფორმებს მათთან ხელშეკრულებებს/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს, ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა დასაქმებას, ინფორმაციის გავრცელებისას იცავს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, აკონტროლებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და არ იყოს შეცდომაში შემყვანი, კოლეჯი ახორციელებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში განხორციელებული უკუკავშირის ანალიზს, რათა გამოვლენილი შედეგები გამოიყენოს მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ექსპერტთა შეფასებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი: https://ckhum.edu.ge/ და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100057572166250
2. დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები;
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის 2019 წლის 2 მასის ბრძანება N 01-16 პროფესიული პროგრამის „აღმზრდელის“ დამტკიცების შესახებ / შეტანილი ცვლილებები: შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის 2020 წ. 25 მაისის ბრძანება N 01-08 2022 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N 01-29
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ადგილი	ზუგდიდი, კოსტავას ქ. N32
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერატიული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება	შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	შეესაბამება	შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით.

დაწესებულებას გააჩნია „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესყიდვების დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით. აღნიშნულ პროგრამაზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 10 სტუდენტით, აქტიური სტატუსით სარგებლობს 10 პროფესიული სტუდენტი, შესაბამისად კოლეჯს სრულად აქვს ათვისებული საბჭოს მიერ მინიჭებული კვორა. კოლეჯს სურს დამატებით 30 სტუდენტის მიღების უფლების მოპოვება ორი ცვლის გათვალისწინებით.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია და შეამოწმეს პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აუდიტორიები. კოლეჯს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ჰქონდა ერთი AC სასწავლო გარემო (აუდიტორია N7), ხოლო ზღვრული რაოდენობის გაზრდის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნის შემდეგ დაიმატა კიდევ ერთი AC სასწავლო გარემო (აუდიტორია #2). თითოეული AC სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე (მაგიდა, სკამი), ასევე თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი, 1 პრინტერი და პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). დაწესებულებას პროგრამის „აღმზრდელი“ ზოგადი მოდულის განხორციელებისათვის გამოყოფილი აქვს B გარემო, კომპიუტერული კლასი (N18) აუდიტორია. B გარემოს აუდიტორია აღჭურვილია საჭირო რესურსით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერები, პრინტერი, პროექტორი) 20 პროფესიულ სტუდენტზე.

საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს მოდულებს: „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“, რომელთა განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. ზუგდიდის #15, #13 და ინგირის „წითელქუდა“ საბავშვო ბაგა–ბაღებთან. ხელშეკრულებების გაფორმების თარიღია 2023 წლის 07 თებერვალი და მოქმედებს ექვსი კალენდარული წლის ვადით.

აღნიშნული ხელშეკრულებით უზრუნველყოფილია ამ მოდულებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით პარტნიორი ორგანიზაციის მიერ.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის (ჯამში 40 პროფესიული სტუდენტი გათვალისწინებით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.2. საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მოთხოვნამდე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავდა 13 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 6 პროფესიული მოდულის, 5 ზოგადი მოდულის და 2 ქართული ენის განმახორციელებელი პირი. პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით კოლეჯმა დამატებით ხელშეკრულება გააფორმა 6 პროფესიულ მასწავლებელთან, ექვსივე მათგანი განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა, დაწესებულება წარმოადგინა დატვირთვის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია მასწავლებელთა დატვირთვა, ამ დოკუმენტის საფუძველზე დატვირთვა არ სცდება 40 საათს და არ აფერხებს პროგრამის განხორციელებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულება მოიცავს მათ უფლება-მოვალეობებს, მოდულების დასახელებას, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები და სხვა არსებით პირობებს.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების პროფესიული განათლების განმახორციელებელ პირებს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული პიროვნებები დაკავებულ პოზიციაზე შეირჩნენ კვალიფიკაციისა და მათი სამუშაო გამოცდილების შესაბამისად. ყველა მათგანს აქვს პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ პროფესიაში. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეულ ახალ მასწავლებლებს არ აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება, თუმცა კოლეჯს უკვე ჩატარებული აქვს ტრენინგი სწავლებისა და შეფასების მეთოდებზე. გარდა ამისა პროგრამის ხელმძღვანელი და არსებული განმახორციელებლები კონსულტაციას უწევენ ახალ პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული პროგრამის „აღმზრდელი“ განმახორციელებელთა პირადი საქმე, რითაც დადასტურდა აკადემიის მიერ შერჩეული პროფესიული მასწავლებლების გამოცდილება და კვალიფიკაცია.
ყველა მათგანი აღნიშნულ დარგში პრაქტიკოსია და აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

აღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება მათი პირადი საქმით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროგრამით და მასთან დადებული ხელშეკრულებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად შერჩეული პირები აკმაყოფილებენ პროგრამის ხელმძღვანელისათვის დაწესებულების მიერ გაწერილ მოთხოვნებს, რომელიც მოცემულია დოკუმენტში: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი) - პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აღნიშნულის თანახმად, დასტურდება რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ვიზიტისას ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, ან ელექტრონული (რაც ასევე გაწერილია მოდულებში) სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზეც. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, დარბაზში განთავსებულია სამი კომპიუტერი.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროფესიული პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, რისთვისაც მზადაა გამოყოს ინსტრუქტორ(ებ)ი/კოორდინატორები/განმახორციელებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას და მხარდაჭერას. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს ერთდროულად, ორი ცვლის გათვალისწინებით მიიღოს 20+20 პროფესიული სტუდენტი. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ორგანიზაცია მზადაა ერთდროულად მიიღოს 20 + 20-ი პროფესიული სტუდენტი, გააცნოს მათ დაწესებულების შინაგანაწესი და ქცევის წესები, მოახდინოს მათი გადანაწილება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც პროფესიული სტუდენტებს საშუალება ექნებათ დააკვირდნენ ყველა ასკის სკოლამდელ აღსაზრდელს, შეისწავლონ მათი ასაკობრივი თავისებურებები, გაეცნონ შესაბამისი ჯგუფის დღის წესრიგსა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს. პარტნიორი ორგანიზაცია -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბავშვო ბაგა-ბაღში „წითელქუდა“ სადაც დღესდღეობით კოლეჯის 10 პროფესიული სტუდენტი გადის პროგრამის პრაქტიკულ ნაწილს, ფუნქციონირებს აღსაზრდელთა ოთხი ყველა ასაკობრივი ჯგუფი და დაკომპლექტებულია შესაბამისი კომპეტენტური კადრით. პრაქტიკის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ, პრაქტიკის პერიოდში ჩაერთონ სააღმზრდელო პროცესში, იმუშაონ აღსაზრდელთა მცირე და დიდ ჯგუფებთან, თავად, დაწესებულების თანამშრომელთა დახმარებით შექმნან დღის წესრიგი, სამუშაო გეგმა, აწარმოონ აღსაზრდელთა პორტფოლიო და თავად, შემუშავებული გეგმის შესაბამისად წარუძღვნენ ჯგუფის ასაკისათვის შესაბამის აქტივობებს. ექსპერტები გაესაუბრნენ ასევე კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც დაადასტურეს პრაქტიკის ხელმძღვანელის ნათქვამი და თავის მხრივ კმაყოფილება გამოთქვეს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული კმაყოფილება კი გამოხატეს პროგრამის განმახორციელებლებთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

2.2.1.6. სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (მუხლი 14. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირება) თანახმად კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, როგორც სსსმ ან/და შშმ პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მისი მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. სსსმ პირებისთვის ადაპტირებულია სასწავლო გარემო. ადაპტირებულია სველი წერტილიც. კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან.

გამომდინარე აქედან, სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამის ბიუჯეტი - პროგრამის შემოსავლები ანაზღაურებენ მის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა აღემატება რენტაბელობის ნიშნულს. „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი აგებულია სტუდენტთა მინიმალურ შესაძლო ოდენობაზე და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 28 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიული სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასური (მათ შორის სახელმწიფო ვაუჩერით მიღებული შემოსავალიც), ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციულ ხარჯს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების/ნედლეულის, კომუნალურის და სხვა ხარჯებს.

ექსპერტთა აზრით, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებული 2022 წლის 19 დეკემბრის N 01-26 ბრძანებით.
- შპს ცხუმ-ეგრისის „დებულება“ დამტკიცებულია 2022 წლის 19 დეკემბრის N 01-26 ბრძანებით.
- დანართი N32 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი
- დანართი N31 - განმახორციელებლები-პერსონალი.
- დანართი N5 - პროგრამის ბიუჯეტი
- შპს ცხუმ-ეგრისის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა მოქმედი პროგრამის სასწავლო გეგმა და კალენდარული გეგმა, ასევე მოხდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ცხრილის მიხედვით დაგეგმილი მოდული დაემთხვა კალენდარულ გეგმაში გაწერილ მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2.4.1.2 კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ, დირექტორის 2020 წლის 16 ივლისის N 01-11 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სტრატეგია. კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სწავლების საწყის ეტაპზე ან/და ყველა ეტაპზე, როცა სასწავლო გარემო იცვლება, ამის უზრუნველსაყოფად ხორციელდება: გაცნობითი სახის შეხვედრების ჩატარება მიღებულ სტუდენტთა ყველა ნაკადთან, სადაც შედგება პრეზენტაციები კოლეჯის სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, მათი ვალდებულებების, შინაგანაწესის მოთხოვნების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, შეფასების სისტემის, ეთიკის ნორმების, უსაფრთხოების და სხვა წესების შესახებ; სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალდებულია ხელი შეუწყოს სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან ან შესთავაზოს სტუდენტს შესაბამისი სერვისები /

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდაჭერა საჭიროების მიხედვით კომპეტენციის ფარგლებში.

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელი ატარებენ ტრენინგებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 2 აგვისტოს N01-18 ბრძანებით დამტკიცებული - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-15 მუხლის 1.2 -1.3 პუნქტი ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებას. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ:

ა) სსსმ და შშმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ აღწევს/ვერ ადასტურებს სწავლის შედეგ(ებ)ს, როდესაც პროფესიული სტუდენტი გამოიყენებს განმეორებითი შეფასების ყველა შესაძლებლობას და შედეგი დაუდასტურებელი რჩება;

ბ) მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დ) პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელების საჭიროება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე.

აქედან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

2.4.1.5 კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით.

კოლეჯს ქალაქ ზუგდიდის #15, #13 და ინგირის „წითელქუდა“ საბავშვო ბაგა–ბაღებთან დადებული აქვს ხელშეკრულება 6 (ექვსი) კალენდარული ვადით. ხელშეკრულებების შინაარსი, პასუხისმგებლობები და ვალდებულებები ცნობილია მხარეებისათვის და ზუსტად განსაზღვრავს თანამშრომლობის საგანს და მხარეთა ვალდებულებებს, მათ შორის სტუდენტთა საერთო რაოდენობებს, რომლებსაც ერთდროულად გაუწევენ მომსახურებას, ასევე კანონმდებლობით დადგენილ სხვა საკითხებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროფესიული პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, რისთვისაც მზადაა გამოყოს ინსტრუქტორ(ებ)ი/კოორდინატორები/განმახორციელებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას და მხარდაჭერას. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს ერთდროულად, ორი ცვლის გათვალისწინებით მიიღოს 20+20 პროფესიული სტუდენტი. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ორგანიზაცია მზადაა ერთდროულად მიიღოს 20 + 20-ი პროფესიული სტუდენტი, გააცნოს მათ დაწესებულების შინაგანაწესი და ქცევის წესები, მოახდინოს მათი გადანაწილება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც პროფესიული სტუდენტებს საშუალება ექნებათ დააკვირდნენ ყველა ასკის სკოლამდელ აღსაზრდელს, შეისწავლონ მათი ასაკობრივი თავისებურებები, გაეცნონ შესაბამისი ჯგუფის დღის წესრიგსა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს. პარტნიორი ორგანიზაცია - საბავშვო ბაგა-ბაღში „წითელქუდა“ სადაც დღესდღეობით კოლეჯის 10 პროფესიული სტუდენტი გადის პროგრამის პრაქტიკულ ნაწილს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციონირებს აღსაზრდელთა ოთხი ყველა ასაკობრივი ჯგუფი და დაკომპლექტებულია შესაბამისი კომპეტენტური კადრით. პრაქტიკის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ, პრაქტიკის პერიოდში ჩაერთონ სააღმზრდელო პროცესში, იმუშაონ აღსაზრდელთა მცირე და დიდ ჯგუფებთან, თავად, დაწესებულების თანამშრომელთა დახმარებით შექმნან დღის წესრიგი, სამუშაო გეგმა, აწარმოონ აღსაზრდელთა პორტფოლიო და თავად, შემუშავებული გეგმის შესაბამისად წარუძღვნენ ჯგუფის ასაკისათვის შესაბამის აქტივობებს. ექსპერტები გაესაუბრნენ ასევე კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც დაადასტურეს პრაქტიკის ხელმძღვანელის ნათქვამი და თავის მხრივ კმაყოფილება გამოთქვეს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული კმაყოფილება კი გამოხატეს პროგრამის განმახორციელებლებთან მიმართებაში.

პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით, კოლეჯის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ამ შესაბამისობის დადგენისთვის ასევე კოლეჯის მხრიდან წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, კითხვარი და დადგენილების მოთხოვნის მიხედვით შემუშავებული წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით.

2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხოების წესები. კოლეჯის სასწავლო/სამუშაო გარემოში სათანადოდ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების ნორმების დაცვა. პროგრამის სწავლებისას დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინება არაა საჭირო.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- პროგრამა „აღმზრდელის“ სასწავლო გეგმა
- ხელშეკრულებები პარტნიორებთან
- ინტერვიუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. დირექტორის 2020 წლის 16 ივლისის N 01-11 ბრძანებით დამტკიცებული - პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებას, რომელშიც გაწერილია შეფასების ინსტრუმენტები და შეფასებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა. დაწესებულებაში ვიზიტისას შერჩევითად გადამოწმდა შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებები. შეფასების ინსტრუმენტები ვალიდაცია გავლილია როგორც დარგის, ასევე განათლების ვალიდატორის მიერ. შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ყველა იმ სავალდებულო ინფორმაციას, რაც გაწერილია მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტით. დაცულია ასევე უწყისის გაფორმების წესი. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში და შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებენ ინდივიდუალურად.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი, რომლის მე-13 მუხლი ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას. ვერიფიკაცია ორი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია(რაც გულისხმობს როგორც პროცესის შესწავლა/დაკვირვებას, ისე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას). პროცესები ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ არის ორგანიზებული. ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია შერჩევითი პროცესია. ამისათვის წინასწარ ფასდება ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა. ამის შემდეგ რისკების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2.3 კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 41-ე მუხლში გაწერილია პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება, სადაც აღნიშნულია, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მტკიცებულებებით. მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება და მტკიცებულებათა შეგროვება მიმდინარეობს სასწავლო პროცესის განმავლობაში. შეკრებილ მტკიცებულებებს, რომელიც უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, მოდულის დასრულების შემდეგ მოდულის განმახორციელებელი წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტს. სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი მტკიცებულებებს აღრიცხვის მიზნით გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, რომელიც აღრიცხავს ელექტრონულად და ინახავს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით სპეციალურად მტკიცებულებებისთვის გამოყოფილ ადგილას. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების უწყისების აღრიცხვა ხდება პროფესიული პროგრამების მიხედვით ელექტრონული ფორმით და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. უწყისის ფორმა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კოლეჯის ლოგო, კოლეჯის დასახელება, დოკუმენტის 1დასახელება და ნომერი, პროგრამის დასახელება, მოდულის დასახელება, სარეგისტრაციო ნომერი, ჯგუფის ნომერი, სასწავლო წელი, პროფესიული მასწავლებლის სახელი, გვარი, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის გვარი, სახელი, დადასტურების სიმბოლო (დიახ), ვერ დადასტურების სიმბოლო (არა) , უწყისის შევსების თარიღი, პროფესიული მასწავლებლის ხელმოწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნული კი გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელ წესში, კერძოდ, დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიულ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადებულად იქნება განხილული. კონკრეტული პროფესიული სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე იქნება განხილული. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოყენებული უნდა იქნას პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

წარმოდგენილია 2021-2022 წლის კვლევის ანგარიში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ინფორმაციის ტექნოლოგიის, ფარმაციის (სააფთიაქო), ელექტროობისა და პროგრამის აღმაზრდელი 47-მა პროფესიულმა სტუდენტმა. მათ რამდენიმე თემატური ჯგუფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში შეაფასეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები და სასწავლო პროცესი. თემატური ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი ინფორმაცია;
- ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შესახებ;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის/პირების შესახებ;
- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ;
- სასწავლო პროცესის ორგანიზება და შედეგების დადასტურება/შეფასება.
-

კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ 47 გამოკითხული პროფესიული სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდათ მოენიშნათ რამდენიმე პასუხი. ყველა გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებით, მოდულის განმახორციელებლები გასაგებად ხსნიან მასალას და ახალ საკითხს, სტუდენტების ეკითხვებს პასუხობენ ამომწურავად. ასევე მასწავლებელი თავადაც კითხვებს სვამს, რათა დარწმუნდეს, რომ მათ ყველაფერი ნამდვილად გაიგეს. პროფესიული განათლების მასწავლებელი მზადაა დამატებითი კონსულტაციები ჩაატაროს პროფესიულ სტუდენტებთან სწავლის შედეგების მიღწევისა თუ გაუმჯობესების მიზნით დაყოველთვის ცდილობს პროფესიული სტუდენტის მოტივირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მტკიცებულებათა შეფასების აღრიცხვის ჟურნალით;
- შეფასების ინსტრუმენტის ფორმა;
- შემუშავებული ვალიდაციის კითხვარი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

31.05.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: